

ჰერმან შვარცი

კონსტიტუციის მშენებლობის საფახულები

ჰერმან შვარცი

საკონსტიტუციო სამართლის სფეროში
ცნობილი მოღვაწე.

ვაშინგტონის იურიდიული კოლეჯის პროფესორი,
ამერიკული უნივერსიტეტი, ვაშინგტონი.

ისინი, ვინც კონსტიტუციას წერენ შექმნის პრო-
ცესში მყოფი დემოკრატიებისათვის, ბევრ და-
ბრკოლებებს აწყდებიან.

პირველ რიგში, მათ უნდა შექმნან ისეთი დო-
კუმენტი, რომელიც საშუალებას მისცემს საზო-
გადოებას, მშვიდობიანად გადაჭრას რთული და
კონფლიქტური საკითხები. იმავდროულად, უნდა
შემუშავდეს ადამიანის უფლებათა დაცვის ეფექ-
ტური სისტემა, რომელიც მოიცავს უმცირესო-
ბათა უფლებას – არ დაეთანხმოს და საკანონმ-
დებლო უმცირესობის უფლებას გარდაიქმნას
უმრავლესობად.

მეორე, – კონფლიქტური სიტუაციები ჩვეულე-
ბრივ ინყება სწრაფად და ამ საკითხების მოგვარე-
ბამ შეიძლება სამომავლოდ შექმნას პრობლემები.
ტრანსფორმაციისას (საბჭოთა ბლოკის უმტესი
ქვეყნების მსგავსად) წაგებულები შეეცდებიან
იმდენი ძალაუფლება შეინარჩუნონ, რამდენსაც
შეძლებენ. თუ ცვლილება მოიცავს რეჟიმის სრუ-
ლად შეცვლას, როგორც ეს ერაყში მოხდა, მაშინ
გამარჯვებულები მეტოქეობას გაუწევენ ერთა-
მანეთს ძალაუფლების მოსაპოვებლად. ამ დავე-
ბის გადაჭრის საშუალებები ხშირად ინკორპორი-
რებულია კონსტიტუციაში, რომელიც შეიძლება
პრობლემური იყოს ხანგრძლივი პერიოდის გან-
მავლობაში. მაგალითად, ამერიკის შეერთებული
შტატების კონსტიტუციაში მონობაზე კომპრომი-
სების ჩართვამ რეალურად შესაძლებელი გახდა
კონსტიტუციის მიღება, მაგრამ საბოლოოდ ალ-
მოჩნდა, რომ ეს არც ისე კარგი იყო ერისთვის.

უფრო მეტიც, კონსტიტუცია იწერება დროის
განსაზღვრულ მონაკვეთში, ჩვეულებრივ მაშინ,
როდესაც საზოგადოებაში არსებობს ეკონომიკუ-
რი, სოციალური თუ სხვა პრობლემები. არსებობს
ცდუნება და ხშირად აუცილებლობა იმისა, რომ
სწრაფად მოხდეს ამ პრობლემებთან გამკლავება.

მაგრამ დებულებები, რომლებიც გამიზნულია
პრობლემათა სწრაფად მოსაგვარებლად, შეიძლება
შეუსაბამო აღმოჩნდეს მომავლისათვის.

ეჭვის ქვეშ დაყენება ყველა დოკუმენტისა, რომლებიც დაწერილია განსაზღვრულ დროსა და
ადგილას, ნიშნავს იმას, რომ მომავლის წინასწარ
განტვრეტა შეუძლებელია. მომავალი ყოველთვის
განსხვავებულია იმისგან, რასაც მოველით. ამგვა-
რად, კონსტიტუციის პროექტის შემქმნელებმა
დასაბამი უნდა მისცენ ისეთი მომავალი მთავრო-
ბების ჩამოყალიბებას, რომლებიც მყარად შეხვ-
დებიან წარმოუდგენელ და გაუთვალისწინებელ
პრობლემებს.

თითქმის უნივერსალური გამოცდილების ერთ-
ერთი გაკვეთილი არის ის, რომ ადამიანის უფლე-
ბები დაუყოვნებლივ უნდა იყოს დაცული. როცა
ავტორიტარული რეჟიმის შევიწროება მოხდა, სა-
ზოგადოებას განთავისუფლების შეგრძნება და
თავისუფლებისაკენ სწრაფვის წყურვილი ჰქონდა,
თუმცა დიდხანს არ გაგრძელებულა მღლვარე-
ბის ეს გრძნობა. ახალი და ძველი დემოკრატიების
გამოცდილება აჩვენებს, რომ, თუ საწყის ეტაპზე
ადამიანის უფლებები სათანადოდ არ არის დაცუ-
ლი, მოგვიანებით ამის გაკეთება ძალზე რთულია.

თავდაპირველი მოსაზრებები

პირველი, უნდა იყოს თუ არა დაწერილი კონსტი-
ტუცია ჩვეულებრივი საკანონმდებელი ორგანოს
თუ სპეციალურად შექმნილი დამფუძნებელი კრე-
ბის მიერ? თუ გადაწყდება, რომ შექმნან რაიმე
ძველის მსგავსი, მაშინ კანონმდებლებს შეუძლიათ,
დაწერონ ისეთი კონსტიტუცია, რომლის საშუალე-
ბითაც ისინი შეინარჩუნებენ თავიანთ თანამდებო-
ბებს. სპეციალური დამფუძნებელი კრება უმჯობე-
სია საზოგადოების რაც შეიძლება მეტ ელემენტს
წარმოადგენდეს, მიუხედავად იმისა, რომ ეს საკ-
მაოდ რთულია და ძვირად ღირებული.

კიდევ ერთი გადასაჭრელი საკითხი საწყის
ეტაპზე არის ის, თუ როგორ უნდა შევიდეს ცვლი-
ლებები და დამატებები კონსტიტუციაში მისი მი-
ღების შემდეგ. ამის შესრულება მარტივი როდია.
დოკუმენტი უნდა ასახავდეს საზოგადოების ყვე-

ლაზე მნიშვნელოვან ფასეულობებს და დემოკრატიული პროცესის მთავარ პრინციპებს. ეს ყველაფერი სტაბილური უნდა იყოს. მეორე მხრივ, ზოგიერთი დებულება მიღებული უფარი ზენოლის, კონფიდენციალური უნდა იყოს, საწყის ეტაპზე, შესაძლოა შორეული მომავლისათვის შეუფერებელი იყოს, ცვლილებების შეტანის გართულებამ კი შესაძლოა ხელი შეუმალოს მომავალ მთავრობებს ადეკვატურად გაუმჯობესდნენ გაუთვალისწინებელ პრობლემებს.

ამ მიზეზის გამო, ჭკვიანური იქნება, თუ განსაზღვრული დროის შემდეგ, მოხდება კონსტიტუციის სტრუქტურული ასპექტების მიმოხილვა. ერთ-ერთი გზა არის 10-20 წელიწადში ერთხელ ექსპერტთა კომისიის მოწვევა, რათა დადგინდეს, არის თუ არა საჭირო სტრუქტურული ცვლილებების შეტანა. ეს შესაძლოა, განსაკუთრებით სასარგებლო გამოდგეს პირველი ათი წლის შემდეგ, როდესაც კონსტიტუციაში წარმოშობილი ზოგიერთი პრობლემა ნათელი გახდება.

ეს მიმოხილვა არ უნდა მოიცავდეს ადამიანის უფლებათა შესუსტების მცდელობას, თუმცა ამის გაკეთების ცდუნება შეიძლება არსებობდეს. როგორც კი ცხოვრების მოსალონდელი გაუმჯობესების სტანდარტული თავდაპირველი ეიფორია გაივლის, უკვე ნაკლებად ზრუნავენ ადამიანის უფლებებზე. ლიდერებმა და ჩვეულებრივმა ადამიანებმაც კი შეიძლება ადამიანის უფლებები ფუფუნებად ჩათვალონ - მეორეხარისხოვნად, ეკონომიკური სტაბილურობის საკითხებთან შედარებით. მიუხედავად ამისა, გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ადამიანის უფლებები იშვიათად აფერხებენ გამოწვევებზე ეფექტურ რეაგირებას.

ამასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხი გახლავთ კონსტიტუციის მოცულობა. აშშ-ში ბევრი ფიქრობს, რომ, რადგან აშშ-ის კონსტიტუცია 200 წელზე მეტია რაც აგრძელებს მოქმედებას, მოკლე კონსტიტუციები უკეთესია დამწყები დემოკრატიებისთვისაც კი. მე ამ ხედვას არ ვიზიარებ. აშშ-ის კონსტიტუციური ნორმები არ შეიძლება თავმოყრილი იყოს მხოლოდ ოცდათოხმეტ საწყის და ცვლილებების შესატან დებულებებში. ისინი შეიძლება თავმოყრილ იქნენ ორ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა 550-ზე მეტ კრებულში. ამ გადაწყვეტილებებმა დაამკვიდრა ჩვენი ყველაზე ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპები და უფლებები, რომელთაგან რამდენიმე შეიძლება გამოვყოთ აშშ-ის კონსტიტუციიდან. იმ ახლად ჩამოყალიბებული დემოკრატიებიდან, რომლებსაც არ აქვთ ორსაუკუნოვანი გამოცდი-

ლების ფუფუნება უფლებების განსავითარებლად, მხოლოდ რამდენიმე თუ ინყებს ძლიერი სასამართლო სისტემის შექმნით. მათ შეუძლიათ და უნდა ააგონ დემოკრატია ამერიკის და სხვა ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით, სასამართლოების ლოდინის გარეშე უნდა შექმნან ეს ფუნდამენტური უფლებები და პრინციპები თავიანთ კონსტიტუციებში შესატანად.

ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ კონსტიტუცია უნდა იყოს ძალზე დეტალური. კონსტიტუციები, რომლებიც მოიცავენ ბევრ დებულებას, შეიძლება ნაკლებად მოქნილები იყვნენ. იმის გადაწყვეტა, თუ რა უნდა შევიდეს კონსტიტუციაში, რა უნდა დარჩეს საკანონმდებლო ხელისუფლების გადასაწყვეტად და, საერთოდ, რა არ უნდა იყოს დარეგულირებული კონსტიტუციით, არის ყველაზე მთავარი და რთული საკითხი.

მარებლობის საფეხურები

ეგრეთ წოდებული პორიზონტალური და ვერტიკალური სტრუქტურული საკითხები ყველაზე რთულია, რადგანაც ისინი უკავშირდებიან ძალაუფლების გადანაწილებას. ეს საკითხები თითქმის ყოველთვის გვარდება პოლიტიკური აზრთა სხვადასხვაობის ფონზე ისეთი მოკლევადანი მიზნებით, როგორიცაა, მაგალითად თუ როგორ უნდა მოხდეს ხშირად დომინანტური ძალაუფლების მიღება და შენარჩუნება.

უპირველესი საკითხი გახლავთ, უნდა იყოს საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო სისტემა. მათი მრავალფეროვნების გათვალისწინებით, ისინი იყოფიან ორ ჯგუფად. საპრეზიდენტო სისტემით ყველაზე უფრო ამერიკა არის ცნობილი. როგორც წესი, პრეზიდენტი პირდაპირ ირჩევა ხალხის მიერ, თუმცა შეერთებულ შტატებში პრეზიდენტის არჩევა განსაზღვრული დროით ხდება. პრეზიდენტი, რომელიც გვევლინება ქვეყნის მეთაურად, ადგენს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკას და ირჩევს მინისტრებს ამ პოლიტიკის განსახორციელებლად. მინისტრთა კანდიდატურებს ხშირად ამტკიცებს საკანონმდებლო ორგანო, თუმცა არიან პრეზიდენტის კონტროლის ქვეშ.

საკანონმდებლო ხელისუფლება დამოუკიდებლად ირჩევა დადგენილი დროით. როგორც წესი, არც პრეზიდენტი და არც საკანონმდებლო ხელისუფლება არ დაითხოვება ერთიმეორის მიერ. ეს წარმოქმნის ორმაგ ლეგიტიმურ სისტემას და მკვეთრად გამიჯნულ ძალაუფლებას.

საპრეზიდენტო სისტემა უზრუნველყოფს სტაბილურობას და ძლიერი პრეზიდენტის ხელში

შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს ძლიერი, ენერგიული ხელმძღვანელობა. თუმცა სტაბილურობა შეიძლება გადაიზარდოს მოუქნელობაში და არაპოპულარული, არაეფექტური პრეზიდენტის შეცვლა შეუძლებელია მოხდეს მმართველობითი პერიოდის ამონტურვამდე. უფრო მეტიც, საკანონმდებლო ორგანოს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის მიერ მართვამ შეიძლება მიგვიყვანოს საკანონმდებლო ჩიხამდე. თუ ეს დაყოფა იარსებებს, სახელმწიფო მრავალი წლის განმავლობაში ვერ შეძლებს ნორმალურად ფუნქციონირებას.

საპარლამენტო სისტემაში, პარლამენტი საარჩევნო ლეგიტიმურობის ერთადერთი წყაროა. არ ხდება ძალაუფლების გაყოფა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებებს შორის. სასამართლო ხელისუფლება, რა თქმა უნდა, დამოუკიდებელია, მაგრამ იმყოფება საკანონმდებლო სფეროს მიღმა. რაც შეეხება აღმასრულებელ ხელისუფლებას, რომელსაც ხშირად მთავრობას უწოდებენ, იმართება პრემიერ-მინისტრის მიერ, რომელსაც ირჩევს ის პარტია, რომელიც უმრავლესობით მოდის პარლამენტში ან კოალიციის მიერ, რომელიც შემდგარია კანონმდებელთა უმრავლესობისგან. ქვეყნის მმართველი გახდავთ პრეზიდენტი ცოტადენი ძალაუფლებით და ირჩევა პარლამენტის მიერ. პრემიერ-მინისტრი და მთავრობა არიან პასუხისმგებელი პარლამენტის წინაშე და შეიძლება დათხოვნილ იქნენ სწორედ პარლამენტის მიერ. არჩევნების ჩატარება შეიძლება ნებისმიერ დროს, მოქნილობის უზრუნველყოთ. ვინაიდან არ არსებობს ფორმალური დაყოფა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებათა ძალაუფლებებს შორის, შესაბამისად, არსებობს გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩენის ნაკლები შანსი იმდენად, რამდენადაც მთავრობა ან პრემიერ-მინისტრი, რომელიც კარგავს პარლამენტის ნდობას, შეიძლება დათხოვნილ იქნეს მის მიერ.

საპარლამენტო სისტემამ შეიძლება გამოიწვიოს ხელისუფლების ხშირი ცვლილება და დიდი არასტაბილურობა. აგრეთვე მას შეუძლია ნარმოქმნას პოლიტიკაში რადიკალური ცვლილებები, როდესაც ოპოზიცია მოდის უმრავლესობით, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა სახის არასტაბილურობა.

არ არსებობს აშკარა პასუხი იმაზე, თუ რომელი სისტემაა უკეთესი. არჩევანი ხშირად დამოკიდებულია ისტორიაზე, კონკრეტული დროის მოთხოვნებზე და სხვა ფაქტორებზე. საბჭოთა ბლოკის ყოფილმა წევრ-სახელმწიფოებმა საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ, აგრეთვე ბალტისპირეთის ქვეყნებმა დანერგეს საპარლამენტო რეჟიმი, რად-

განაც მათ უნდოდათ, გამხდარიყვნენ დასავლეთ ევროპის ნაწილი, რომელიც თითქმის საპარლამენტოა. საბჭოთა კავშირის ყოფილმა, არაბალტიისპირეთის ქვეყნებმა დანერგეს საპრეზიდენტო სისტემა.

აგრეთვე, უნდა გადაწყდეს საკანონმდებლო ხელისუფლება უნიკამერული (ერთპალატიანი) უნდა იყოს თუ ბიკამერული (ორპალატიანი) სისტემის. თუ სახელმწიფო ფედერალურია, მეტ-ნაკლებად ავტონომიური შემადგენელი ერთეულებით, როგორიც არის აშშ და გერმანია, სასურველია, თუ იქნება მეორე (ჩვეულებრივ ზედა პალატა როგორც აშშ-ის სენატი) საკანონმდებლო პალატა, რომელიც წარმოადგენს შემადგენელი ერთეულების ინტერესებს. მეორე პალატა, გარკვეულ სფეროებში, როგორიცაა გადასახადები და სასამართლო, ასევე ავტონომიასთან დაკავშირებული საკითხები, ზოგჯერ შეზღუდულია გადაწყვეტილებათა მიღებაში.

მეორე პალატის ყოფნა-არყოფნა წამოქრის კიდევ ერთ კითხვას: რამდენად ცენტრალიზებული უნდა იყოს სახელმწიფო? რა უფლებამოსილებებით უნდა სარგებლობდნენ და რამდენად ავტონომიურები უნდა იყვნენ რეგიონები და ნაციონალური ერთეულები? რამდენად დამოუკიდებლები იქნებიან ქალაქები და სოფლები? შესაძლებლობების დიაპაზონი ფართოა აბსოლუტური ავტონომიის მქონე ერთეულებიდან სრულ ცენტრალურ კონტროლად. კარგი მიზეზია იმისა, რომ ნებადართული იყოს მეტი ავტონომია ადგილობრივი და რეგიონალური ერთეულებისათვის, რადგან ისინი ეფექტურად შეძლებენ მართონ, ვინაიდან ცენტრალური ადმინისტრაციისათვის ხშირად უცნობია ადგილობრივი პირობები და საჭიროებები. აგრეთვე, ადგილობრივ თვითმმართველობაში ჩართულობა სთავაზობს ხალხს საშუალებას, პირდაპირ მიიღონ მონაწილეობა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში, რომლებიც იმოქმედებს მათ ცხოვრებაზე და ეს შესაძლოა დემოკრატიული თვითმმართველობის მნიშვნელოვანი ნაწილი იყოს.

სასამართლო სისტემა

ისტორიამ აჩვენა დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის აუცილებლობა, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს ის, რომ ხელისუფლების დანარჩენის მომა შტომ არ გადააჭარბოს კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებამოსილებას, როდესაც საქმე ეხება ადამიანთა უფლებებს. ეს შესაძლოა იყოს მუდმივი სასამართლო სისტემა, როგორც აშშ-შია ან სპეციალური ტრიბუნალი, საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც უფლებამოსილია, გა-

დაჭრას მხოლოდ კონსტიტუციური და რამდენიმე სხვა საკითხი, როგორც გერმანიაშია. ზემოთ ხსენებულ შემთხვევაში ბოლო ინსტანციად გვევლინება უზენაესი სასამართლო, შემდგარი საერთო სასამართლოს მოსამართლებისგან, რომლებიც ინიშნებიან მთელი სიცოცხლის ვადით და, როგორც წესი, განიხილავენ საჩივრებს ქვემდგომი სასამართლოებისაგან. მათი მოვალეობაა, მიიღონ გადაწყვეტილება კონკრეტულ საქმეებზე, ჩვეულებრივ, ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავენ კონსტიტუციურ საკითხებს, თუ ეს დავის დარეგულირებისათვის აუცილებელია. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების უმრავლესობა სამართლის პროფესორები არიან, დანარჩენებს არ აქვთ საერთო სასამართლოებში მუშაობის გამოცდილება და რჩებიან ამ პოზიციაზე ერთი ან მეტი 8-12 წლიანი ვადით. ისინი განიხილავენ კონსტიტუციურ საკითხებს, თუ ეს არის ხელისუფლების წარმომადგენლების მოთხოვნა, საერთო სასამართლოების და ბევრ ქვეყანაში რიგით მოქალაქეთა სარჩელებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მათი უფლებები დაირღვა. განვითარებადი დემოკრატიის ქვეყნების უმრავლესობამ გადაწყვიტა შეექმნათ საკონსტიტუციო სასამართლოები, ნაწილობრივ იმიტომ, რომ საერთო სასამართლოს მოსამართლების მიერ სასამართლო სისტემის კონტროლი არ არის მათი პრაქტიკა და ნაწილობრივ იმიტომაც, რომ ისინი უნდობლობას უცხადებენ არსებულ სასამართლო სისტემას.

როგორი სისტემაც არ უნდა იქნეს შერჩეული, კონსტიტუციამ დეტალურად უნდა დაადგინოს სასამართლოების უფლებამოსილება, რომ შესაძლებელი იყოს კონსტიტუციისათან შეუთავსებადი კანონებისა და სხვა ნორმების ანულირება. თუ არსებობს საკონსტიტუციო სასამართლო, ის არ უნდა იყოს დატვირთული განსხვავებული ვალდებულებებით. მისი საქმიანობის უდიდესი ნაწილი იქნება სადავო, ვინაიდან მისი ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე, არის კონსტიტუციური საზღვრების დადგენა სამთავრობო უწყებებს შორის. აგრეთვე, საკონსტიტუციო სასამართლოს ზოგჯერ მოუწევს ხელისუფლების საწინააღმდეგო გადაწყვეტილებების გამოტანა ადამიანის უფლებების საკითხებთან დაკავშირებით. ყველა ასეთ შემთხვევაში, ის ხშირად იქნება დამარცხებულთა მიერ მკაცრად გაკრიტიკებული. კონსტიტუციამ არ უნდა გააორმაგოს ასეთი შეტევებით გამოწვეული შემთხვევები, რაც გამოწვეულია, მაგალითად, საკონსტიტუციო ტრიბუნალისათვის განსახილვების განსახილველად არაკონსტიტუციური საკითხების მიწოდებით, საწყის ეტაპზე მაინც,

რადგანაც ისინი განიცდიან პრესტიჟის და საზოგადოებრივი მხარდაჭერის ნაკლებობას, რაზეც მათი ეფექტურუნარიანობაა დამოკიდებული.

დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის მხარის დაჭერა არის კიდევ ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ არ უნდა იყოს კონსტიტუცია ძალიან მოკლე. რაც უფრო კონკრეტულია კონსტიტუცია, მით უფრო მარტივი იქნება სასამართლოებისათვის დოკუმენტში შესაბამის დებულებაზე მითითება სადავო გადაწყვეტილებების დასაცავად, ასევე, ისინი უფრო ნაკლებად იქნებიან განსილული როგორც სუბიექტური შეხედულებების შესაბამისად მოქმედი.

რადგანაც სასამართლოთა გადაწყვეტილებები ხშირად პოლიტიკურად მგრძნობიარება, მათი დამოუკიდებლობა და უზენაესობა კონსტიტუციით უნდა იყოს გარანტირებული. სასამართლო სისტემა უნდა იყოს არა იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარების ქვეშ, არამედ ხელისუფლების დამოუკიდებელი შტო დადგენილი ვადით. სასამართლო სისტემამ უნდა გააკონტროლოს თავისი ფინანსური და ადმინისტრაციული საქმიანობა, თავისუფალი უნდა იყოს აღმასრულებელი ხელისუფლების ჩარევისაგან, მაგრამ უნდა მოხდეს ბიუჯეტის კონტროლი საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ.

კონსტიტუციამ აგრეთვე უნდა უზრუნველყოს, რომ ის გამოიყენებოდეს დაბალი ინსტანციის მოსამართლების მიერ გადაწყვეტილებათა მიღებისას. ბევრ ახალ დემოკრატიაში, ძალიან ხშირად, ეს მოსამართლები გადაწყვეტილების მიღებისას უარს აცხადებენ კონსტიტუციურ საკითხებზე.

ადამიანის უფლებათა დაცვა

როგორც ეს დადგენილია, კონსტიტუცია უნდა იცავდეს ადამიანის უფლებებს და სასამართლოებმა, განსაკუთრებით სპეციალურმა კონსტიტუციურმა ტრიბუნალებმა უნდა ითამაშონ მთავარი როლი ამ დაცვის უზრუნველყოფისათვის. პირველად ეს აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ განავითარა, მაგრამ ეხლა სასამართლო ტრიბუნალები მსოფლიოს მასშტაბით აღიარებენ ამ პასუხისმგებლობას. როდესაც საქმე ეხებოდა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო შეთანხმების რატიფიკაციას მათი მთავრობების მიერ, მოსამართლებმა მიიჩნიეს, რომ ვალდებული იყვნენ, განეხილათ ეს ხელშეკრულებები. ისინი ხშირად თვალყურს ადევნებდნენ იმას, თუ როგორ წყვეტდნენ მსგავს პრობლემებს სხვა სასამართლოები. შედეგად კი შეიქმნა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საკონსტიტუციო სამართალი.

დღესდღეობით ყოველი კონსტიტუცია შეიცავს ადამიანის უფლებათა დებულებას. ეს საკმარისი არ არის. კონსტიტუციამ უნდა შექმნას ინსტიტუტები, რათა ეს უფლებები ამოქმედდეს. კონსტიტუციამ განსაკუთრებულად უნდა უზრუნველყოს პიროვნების შეუფერხებელი მიმართვა სასამართლოსათვის, თუ ის ადასტურებს მისი უფლების შელახვას და თუ ამ უფლების დარღვევას ჰქონდა ადგილი, მსხვერპლს შეუძლია, მიიღოს ადეკვატური საშუალებები. ბევრმა ქვეყანამ დაინახა, რომ ობბუდსმენი გამოსადეგია (ვინაიდან, ის საჩივრებსაც იხილავს) ასეთ შემთხვევებში. პროკურატურაში, ადამიანის უფლებათა სპეციალური ოფისიც გამოსადეგი იქნება.

დემოკრატიისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ის, რომ მოქალაქეებს შეეძლოთ იმის გაგება, თუ რამდენად კარგად აკეთებს ხელისუფლება თავის საქმეს და მოქმედებს ერის ინტერესების სასარგებლოდ. კონსტიტუცია უნდა მოიცავდეს დებულებებს, რომლებიც უფლებას მისცემს მოქალაქეებს, ხელმისაწვდომ ფასად და სწრაფად მოიპოვონ საჯარო ინფორმაცია, გარდა იმ მასალებისა, რომლებიც საფრთხის შემქმნელია ეროვნული უშიშროების, პირადი ცხოვრების, სამართალდამცავი ინსტიტუტებისათვის და ასევე სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის ეროვნული ინტერესებისათვის. კანონმდებელთათვის იმის გადაწყვეტის მინდობა უნდა არსებობდეს, თუ არა ასეთი საშუალებები, მართებული არ არის, ვინაიდან ბევრი მთავრობა უპირისპირდება და ცდილობს შეასუსტოს ასეთი შესაძლებლობები. მხოლოდ ძალიან ცოტა საჯარო მოხელეს სურს საჯარო განხილვის საგნად აქციოს საკუთარი ქმედებები.

კონსტიტუციის მიღება

ბოლო კითხვა გახლავთ, თუ როგორ უნდა იყოს მიღებული კონსტიტუცია? როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კონსტიტუცია მიღებული უნდა იყოს სპეციალური დამფუძნებელი კრების მიერ? როგორც ბევრ ევროპულ ქვეყანაში, მუდმივი პარლამენტის მიერ? ზოგადად ხალხის მიერ? საზოგადოებამ კონსტიტუციის მიღების ეტაპზე უნდა მიიღოს მონაწილეობა თუ შემდეგ? და თუ პასუხი ამ უკანასკნელზე დადებითია, როგორ უნდა იყოს საზოგადოების მონაწილეობა უზრუნველყოფილი? ამ და სხვა კითხვებზე პასუხის გაცემა მოხდა სხვადასხვა გზით და მიუხედავად იმისა, რომ ბევრ პოლიტოლოგს სჯერა, რომ კონსტიტუცია მოწონებული უნდა იყოს საზოგადოების მიერ, ეს მაინც არ არის უნივერსალური მიდგომა.

კონსტიტუციის შექმნა ექსპერიმენტია, გამოცდა, რომლის შედეგი ყოველთვის იქნება განსხვავებული იმისგან, რაც იყო გათვალისწინებული და რისი მოლოდინიც არსებობდა. უფრო მეტიც, კონსტიტუციის წარმატება დამოკიდებულია გარეშე ფაქტორებზე — ეკონომიკაზე, საზოგადოების სოციალურ ძალებზე, სახელმწიფოების საგარეო ურთიერთობებზე, ბუნებრივ კატასტროფებსა და ბევრ სხვა ფაქტორებზე, რაზედაც კონსტიტუციის შექმნელების კონტროლი არ ვრცელდება.

მიუხედავად ამ სირთულეებისა, ახლად ჩამოყალიბებული დემოკრატიების კონსტიტუციებს შეუძლიათ ცვლილებები მოახდინონ. ისინი იძლევიან იშვიათ შესაძლებლობას იმისა, რომ ადამიანებმა იცხოვონ დამოუკიდებლად და მშვიდად. ისტორია ერს არ სთავაზობს ბევრ ასეთ მომენტს და როცა ეს მომენტები დგება, პრობლემები უნდა გადაწყვდეს, რადგან ერის მომავალს საფრთხე ექმნება.